ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-19/01171232951-17

·09· 06 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ხეხილსანერგე, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე (საკ. კოდი №81.21.02.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დამხმარე-ტექნიკური შენობა) ლეგალიზაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1820695 06.04.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი-ხეხილსანერგე, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დაფიქსირდა შემდეგი:

+3.70 ნიშნულზე მანის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. შეცვლილია ლითონის ვიტრაჟების ფერი. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დახრა. შენობის გარშემო დამატებით მოწყობილია სარინელი.
„ა-1 – ა-8" ფასადზე: ა1-ა2 და ა7-ა8 მონაკვეთებში გაუქმებულია კიბეები. ა4-ა5 მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურების სიგანე. ა-1 ა-8 ღერძების გარეთ შეცვლილია კედლის გაბარიტები და ფორმა. ა-8 ღერძის მარჯვნივ დამატებით მოწყობილია პანდუსი, რის გამოც შემცირებულია ტრიბუნის გაბარიტი. ა-1 ა-8 მონაკვეთში ტრიბუნაზე 2 რიგის ნაცვლად მოწყობილია სამი რიგი, რის გამოც გაზრდილია მყურებლისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა და შემცირებულია ვიტრაჟების წინ მოწყობილი ბაქნის სიგანე. ტრიბუნაზე დამატებით მოწყობილია სკამები.
„8-ა – 8-ე" ფასადზე: 8-ბ ღერძზე მდებარე ცხაურს მონაცვლებული აქვს ადგილი 8-გ ღერძისკენ და გაზრდილია ცხაურის სიგრძე.
„ე-8 – ე-1" ფასადზე: გაზრდილია ცხაურების რაოდენობა, გაბარიტი და მდებარეობა. ე-5 ე-3 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი და კაპიტალური გადახურვის ფილა, რომლის ქვეთაც დამატებით მოწყობილია ლითონის მილები. აღნიშნულ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გაწყვეტილი მილი. ე-8 და ე-1 ღერძების გარეთ დამატებით მოწყობილია მილები. ე-3 ღერძზე +3.70 ნიშნულზე გაუქმებულია მოაჯირი. ე-2 2-1 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საფეხურები.
„ფუძების მიხედვით": ე-დ 2-1 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები. ე-ე ღერძზე 3-2 მონაკვეთში შემცირებულია კედლის სიგრძე. ე-ა მონაკვეთში 1-1 ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია პანდუსი და კიბის საფეხურები. 4-2 მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურების რაოდენობა. 4-8 მონაკვეთში ე-ე ღერძზე შემცირებულია კედლის სისქე და აღნიშნულ მონაკვეთში კოლონები გამოდის კედლის სიბრტყიდან.

ზ.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი

პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შ.პ.ს "გუდაური სქი რესორტ"-ს, ქ. თბილისში, სექტორი–ხეხილსანერგე, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე (საკ. კოდი №81.21.02.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დამხმარე-ტექნიკური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/011712329 51-17 03.05.2017წ. განცხადება.
№წ-19/011712329 51-17 05.03.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე